

საქართველოს ადგომატოა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღმგრაზე უარის თქმის შესახებ

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თაგმჯდომარე

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.01.2011

საჩივრის რეგისტრაციის №: 002/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 28.02.2011

ადგომატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შეტანილი: რ. რ.

საჩივრების მოთხოვნა: ადგომატ რ. რ. ადგომატოა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ადგერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 ადგომატოა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2011 წლის 18 იანვარს საჩივრით მომართა მ. მ. ადგომატ რ. რ. წინააღმდეგ.

- 1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით რ. რ. თბილისის 70-ე სკოლის დირექტორად მუშაობდა.
- 1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 30 აპრილს იგი შეხვდა ადვოკატ რ. რ., რომელმაც დაწერა ბრძანება № 01/128-დდ და აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მ. მ. საყვედური გამოუცხადეს. საჩივრის ავტორის განცხადებით მან მიმართა სკოლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს – მ. ტ. მაგრამ განცხადებაზე პასუხი არ მიუღია. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მ. ტ. სიტყვიერად დაარწმუნა ბრძანება მისი პირადი საქმიდან გაქრებოდა.
- 1.4 საჩივრის თანახმად 2009-2010 სასწავლო წელს დირექტორმა რ. რ. დაავალა პედაგოგისადმი კონტროლი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რ. რ. მიმართ პედაგოგის მხრიდან ხშირად ისმოდა გულისწყრომა, რომელთაც ახსნა-განმარტებებით ბარათებს აწერინებდა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რ. რ. ცნობილი და ჩეკული სიყალბით, ცილისწამებით არის იგი გათავისუფლებული და შეურაცხყოფილი.
- 1.5 საჩივრის თანახმად, 2010 წლის 9 ივლისს, სკოლის იურისტის რ. რ. კანონისადმი უპატივცემული დამოკიდებულებით შეუწყდა საჩივრის ავტორს ხელშეკრულება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში იგი კანონიერად, ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა საგამოცდო ცენტრში მეთვალყურედ, ისე როგორც იმავე სკოლის 10 თანამშრომელი.
- 1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 9 ივლისის ბრძანებით იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან. საჩივრის ავტორის განცხადებით გათავისუფლების თაობაზე მიღებული ბრძანება არის ცრუ ინფორმაციით, ყალბი აქტების საფუძველზე, რომლებიც შედგენილია 1,5 და 7 ივლისს.
- 1.7 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში, დროებითი სამუშაოს შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ 30 ივნისიდან 10 ივლისამდე, მისი სადამრიგებლო კლასიდან ორი მოსწავლე ექსტრინის გამოცდებს აბარებდა სისტემატური არასაპატიო გაცდენების გამო.
- 1.8 საჩივრის ავტორი, ასევე უთითებს გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მოცემულ მისი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზების თაობაზე. ბრძანების თანახმად, საჩივრის ავტორმა არ ჩააბარა სადამრიგებლო კლასის აკადემიური მოსწრების მესამე ტრიმესტრისა და წლიური ანგარიში, სასწავლო ნაწილი ვერ ამზადებდა ანგარიშს მისი სკოლაში არ ყოფნის გამო.
- 1.9 საჩივრის ავტორს მიჩნია, რომ რ. რ., როგორც სკოლის იურისტი, მისი როგორც სკოლის პედაგოგის სიმართლის დამცველი უნდა ყოფილიყო 9 ივლისამდე და არა ყალბი აქტების შემდგენელი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სკოლის იურისტი, აღვოკატო პროფესიული ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით ვალდებული იყო რჩევა მიეცა დირექტორისათვის საქმე მორიგებით დასრულებულიყო.
- 1.10 საჩივრის ავტორმა 2011 წლის 2 თებერვალს ეთიკის კომისიის წინაშე წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. მ. მ. ახსნა-განმარტების თანახმად საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 ნოემბერს გამართულ სხდომაზე აღვოკატი რ. რ. ცდილობდა დირექტორის უკანონო ქმედების

- გამართლებას. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების თანახმად, ადვოკატი რ. რ. მას ახასიათებდა, როგორც “უდისციპლინოსა და უპასუხისმგებლოს.”
- 1.11 საჩივრის ავტორი ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ ადვოკატი ტყუილებს არ მოერიდა, როგორც მოსამართლესთან ასევე შემდეგ უურნალისტებთან. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა განაცხადა, თითქოს სკოლის თანამშრომლები საგამოცდო ცენტრში მუშაობასთან ერთად სკოლაშიც ახერხებდნენ მისვლას და მუშაობას, რაც საჩივრის ავტორის განცხადებით არის “მტკნარი სიცრუე”.
- 1.12 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით ადვოკატი უნდა ემორჩილებოდეს კანონმდებლობას, სამართალს და პროფესიული ეთიკის ნორმებს, არ უნდა დაუშვას დოკუმენტების, როგორც გაყალბება, ისე დამალვა, რომელიც გამოყენებულია საჩივრის ავტორის გათავისუფლების სანაცვლოდ.
- 1.13 საჩივრის ავტორის მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატ რ. რ. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა რ. რ. 2011 წლის 21 იანვარს ეთიკის კომისიის წინაშე წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.
- 2.2 ადვოკატ რ. რ. ახსნა-განმარტების თანახმად საჩივარში ჩამოყალიბებული ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, თბილისის 70-ე საჯარო სკოლაში დასაქმებული იყო იურისტად და გადაწყვეტილება აღმინისტარციული აქტის სახით მას არ გამოუცია. ადვოკატის განცხადებით მას შემხებლობა არ პქონია მ. მ., ამასთან არც სასამართლო პროცესზე მიუყენებია მისთვის შეურაცხყოფა.
- 2.3 ადვოკატის განცხადებით საჩივრის ავტორი შეურაცხყოფილია, იმის გამო, რომ სასამართლომ გამოუტანა გადაწყვეტილება და რიგი ფაქტობრივი გარემოებები აღწერა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.
- 2.4 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ სასამართლოში ყალბი დოკუმენტების წარდგენას ადგილი არ პქონია. ამასთან, სამუშაო თათბირზე მის მიერ სკოლის აღმინისტრაციის შეურაცხყოფის ფაქტზე რაიმე განმარტება არ არსებობს.
- 2.5 ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოტივაციო ნაწილი

1. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

1.1. ადგომატი რ. რ. არის საქართველოს ადგომატთა ასოციაციის წევრი. ადგომატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული საქართველოს ადგომატთა ასოციაციიდან.

1.2. მ. მ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 18 იანვარს.

2. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ რევაზ რიჟამაძის მიმართ არ უნდა ადიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადგომატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადგომატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღვრის საფუძველი.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სკოლის იურისტის უგანონო ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურიდან. ამასთან, ადგომატ რ. რ. სასამართლო პროცესზე იგი დაახასიათა, როგორც “უდისციპლინო და უპასუხისმგებლო”.

3.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ “ადგომატთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუქტის თანახმად “ადგომატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადგომატთა ასოციაციაში.”

3.3 “ადგომატთა შესახებ” საქართველოს კანონის მეორე მუხლის განსაზღვრავს ადგომატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმად ” საადგომატო საქმიანობა მოიცავს: ადგომატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.”

3.4 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დასახელებული მუხლის თანახმად ადგომატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად

და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. საქართველოს კანონი ადგომატო შესახებ და ადგომატო პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს და ადგომატის აკისრებს ვალდებულებებს კლიენტის მიმართ, ადგომატისა და კლიენტის შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3.5 ეთიკის კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ მისი უფლებამოსილება ვრცელდება ადგომატის მიმართ ისეთი საქმიანობის განხორციელებაზე, როდესაც იგი ზიანს აყენებს კლიენტის და არა სხვა პირების ინტერესებს, საზოგადოების ინტერესებს და ამას შედეგად მოყვება მნიშვნელოვანი ზიანი, ან კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების საფრთხე შეიქმნა.

3.6 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მ. მ. საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან ადგომატი რ. რ. არ დაურღვევია ადგომატო პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები.

3.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადგომატი რ. რ. იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ წაგებული მხარის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადგომატების მიმართ იმის გამო, რომ მათ წარმატებით განხორციელებ დაცვა ვერ გახდება მათ მიმართ დისციპლინური პასუხსიმგებლობის დაკისრების საფუძველი.

3.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე, ამასთან საჩივრის ავტორის მიმართ ადგომატის მიერ განხორციელებული შეურაცხმყოფელი სიტყვები სასამართლო პროცესზე არ დასტურდება საქმის მასალების მიხედვით. (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი).

3.9 დისციპლინური კოლეგია მიიჩნევს, რომ დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30-ე მუხლის მეორე პუნქტის, თანახმად “საპროცესო კოლეგიის მიერ ადგომატის მიმართ არ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში არსებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც, ადგომატის ქმედება არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.”

3.10 დისციპლინური კოლეგია საჩივარში მოხმობილ გარემოებებთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის შეამოწმოს მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტების სისწორე და მისცეს მას სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისიის უფლებამოსილება ვრცელდება დაადგინოს დაარღვია თუ არა ადგომატმა ადგომატო პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დებულებები. ამასთან, საჩივარში მოხმობილი გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც კი არ არსებობს საფუძველი დისციპლინური დევნის აღმოჩენისათვის დებულების 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად.

3.11 საპროცესო კოლეგიამ ადგომატი რ. რ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადგომატო პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი ინფორმაციის სიწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღმოჩენის საფუძველს, რაც ადგომატო დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30-ე მუხლის

მეორე პუნქტის თანახმად ადგოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმოჩენაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელდა რა „ადგოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე- მუხლითა და 33-ე მუხლით; ადგოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 27-ე მუხლის, 28-ე მუხლის, 30-ე მუხლის მეორე ნაწილის და 31-ე მუხლის საფუძველზე

გ ა დ ა წ ყ პ ი ტ ა:

1. მ. მ. 2011 წლის 18 იანვრის საჩივარი № 002/11 არ დაქმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქმას ადგოკატ რ. რ. მიმართ, დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

დაგით კაპაბაძე – კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი